

წინასასამართლო სხდომის მოსამართლეს დაეხმარება კანონიერი, არგუმენტირებული და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ გაცნობიერებული აქვს *amicus curiae*-ს სარეკომენდაციო ხასიათი და აღნიშნავს, რომ მისი წარდგენა არა რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას ემსახურება, არამედ მისი მიზანი სასამართლოსათვის სამართლებრივი საკითხების შეფასებასა და გადაწყვეტაში დახმარებაა.³ მასში განვითარებული არგუმენტაციის მხედველობაში მიღება ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელებას,⁴ საჯარო ინტერესის დაკმაყოფილებას⁵ და სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის ზრდას.⁶

II. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, გიორგი რურუას ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) 236-ე მუხლის მესამე და მეოთხე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა, რაც ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენას, შენახვასა და ტარებას გულისხმობს. ბრალდების მხარის პოზიციის მიხედვით, სისხლის სამართლის საქმეში არსებული ფაქტებისა და ინფორმაციის ერთობლიობა მიუთითებს, რომ გიორგი რურუა 2019 წლის 18 ნოემბერს, თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე, ვაკის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე ატარებდა მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილ ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას.

გარდა ამისა, გიორგი რურუას ბრალად ედება სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა, რაც სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობასა და მისი შესრულებისათვის ხელის შეშლას გულისხმობს. ბრალდების მხარეს მიაჩნია, რომ წერწყვისა და ხელის კვლების ნიმუშის გაცემაზე ბრალდებულის უარი სასამართლოს განჩინების შეუსრულებლობას, შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსით იწვევებულ ქმედებას წარმოადგენს.

გიორგი რურუა უარყოფს როგორც ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ ფლობის ფაქტს, ასევე არ ეთანხმება სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებას. დაცვის მხარის განმარტებით, ვაკის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე გიორგი რურუას პირადი ჩხრეკა არ ჩატარებულა, შესაბამისად, ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა პოლიციელებს მისგან არ ამოუღიათ, ხოლო

³ Chang, 'How Does the Amicus Curiae Submission Affect a Tribunal Decision?', 30 *Leiden Journal of International Law* (2017) 647.

⁴ Berg, 'The Limits of Friendship: The Amicus Curiae in Criminal Trial Courts', 59 *Criminal Law Quarterly* (2012) 67.

⁵ Krislov, 'The Amicus Curiae Brief: From Friendship to Advocacy', 72 *The Yale Law Journal* (1963) 694.

⁶ Mohan, 'The Amicus Curiae: Friends No More?', *Singapore Journal of Legal Studies* (2010) 352.

ნიმუშის აღებაზე უარი ბრალდებულმა მხოლოდ იმიტომ განაცხადა, რომ გამოძიების საწყის ეტაპზე პოლიციელებმა „ამოღებულ“ იარაღზე მისი დნმ-ის კვალი უკანონოდ გადაიტანეს.

III. გიორგი რურუას პირადი ჩხრეკა

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი რურუას პირადი ჩხრეკა სასამართლომ კანონიერად ცნო, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების კანონიერების შემოწმება. პირადი ჩხრეკის ჩატარებისას იზღუდება პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება,⁷ შესაბამისად, საგამოძიებო მოქმედების ჩატარების კანონიერებას არსებითი მნიშვნელობა აქვს როგორც პროცესის მონაწილეთა უფლებების დაცვისათვის, ასევე მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელებისათვის.

გადაუდებლად ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება, როგორც წესი, რამდენიმეეტაპიან სასამართლო კონტროლს გადის. გარდა პირველადი შემოწმებისა, საგამოძიებო მოქმედების კანონიერების შესწავლა წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერაც ხდება,⁸ რა დროსაც იგი შეზღუდული არ არის გამოძიების ეტაპზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით.⁹

მიგვაჩნია, რომ გიორგი რურუას პირადი ჩხრეკა ჩატარებულია კანონის, არსებითი დარღვევით, რაც აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების დაუმეგობრებელ მტკიცებულებად ცნობის საფუძველი შეიძლება გახდეს. საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის სათანადოდ უნდა შეფასდეს შემდეგი გარემოებები:

3.1. პირადი ჩხრეკის საფუძველები

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების (ოპერატიული) სამმართველოს შ. მ. ის პატაკი გამოძიების დაწყების საფუძველი გახდა. პატაკი შეიცავს ინფორმაციას გიორგი რურუას მიერ დანაშაულის შესახებ ჩადენის შესახებ. მართალია, პატაკი გამოძიების დაწყების საკმარისი საფუძველია, თუმცა საკამათოა, რამდენად კანონიერია მხოლოდ საიდუმლო თანამშრომლის

⁷ საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი;

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის პირველი და მეხუთე ნაწილები.

⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის #2/2/579 გადაწყვეტილება საქმეზე შაია რომაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I-26.

⁹ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2016 წლის 14 ივლისის #1გ/1197 განჩინება <http://library.court.ge/judgements/5232016-07-20.pdf> [წვდომის თარიღი: 23.12.2019];

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2016 წლის 20 ოქტომბრის #1გ/1614-16 განჩინება <http://library.court.ge/judgements/98182016-10-24.pdf> [წვდომის თარიღი: 23.12.2019];

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2019 წლის 26 ნოემბრის #1გ/1960-19 განჩინება;



ან სხვა პირის მიერ საიდუმლოდ მიწოდებული ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩატარებული ჩხრეკა.

ერთ-ერთი მოსაზრებით, კონფიდენტის მიერ საგამოძიებო ორგანოსათვის მიწოდებული ინფორმაცია და პატაკის ავტორის გამოკითხვა, თუ იგი გამყარებული არ არის დამატებით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებით, არ ქმნის დასაბუთებულ ვარაუდის სტანდარტს. შესაბამისად, არ არსებობს ჩხრეკის ჩატარების საკმარისი წინაპირობა.¹⁰ იმის გათვალისწინებით, რომ ინფორმაციის მიწოდებლის იდენტიფიცირებისა და მისთვის კითხვების დასმის შესაძლებლობა არც ზრალდების და არც დაცვის მხარეს არ გააჩნია,¹¹ ამგვარი ინფორმაცია ვერ აკმაყოფილებს სანდოობის მინიმალურ ხარისხსაც კი.¹²

ამის საპირისპიროდ, აღმასრულებელი ხელისუფლება მიიჩნევს, რომ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის გამოკითხვის მიზანს ინფორმაციის მიწოდებელი წყაროს რეალურობისა და სანდოობის შემოწმება წარმოადგენს, რაც დამატებითი ინფორმაცია და საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისათვის საკმარისი სტანდარტია.¹³

საერთო სასამართლოების მიერ დადგენილი პრაქტიკით, პოლიციელის პატაკი და გამოკითხვა საკმარისია პირადი ჩხრეკის სასამართლოს განჩინების გარეშე ჩატარებისათვის. სასამართლოს განმარტებით, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით ხელმძღვანელობისას მხარეს არ მოეთხოვება ისეთივე უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენა, რასაც ადგილი აქვს ალბათობის მაღალი ხარისხის ან/და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტებით მტკიცებულებათა შეფასებისას.¹⁴

ანონიმური ინფორმატორის მიერ მიღებული ინფორმაციის გამოძიების ეტაპზე გამოყენების შესაძლებლობას იცნობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ევროპული

¹⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 24 ოქტომბრის #2/11/1276 საოქმო ჩანაწერი საქმეზე გიორგი ქეზურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I-9 და 11.

ჩომახაშვილი, თომაშვილი, მებნაური, ოსეფაშვილი და პატარიძე, მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში (2016) 149. https://www.osg.gov.ge/files/2016/Publications/merged_document_2.pdf [წვდომის თარიღი: 23.12.2019].

¹¹ პროკურატურის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მეოთხე პუნქტისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, მონაცემები იმ პირზე, რომელიც უწყევს ან უწყევდა კონფიდენციალურ დახმარებას ოპერატიულ-სამძებრო ორგანოს არ არის საპროკურორო ზედამხედველობის საგანი;

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელი საიდუმლო თანამშრომლის ან ინფორმაციის მიწოდებელი წყაროს გახმაურება-გამჟღავნება აკრძალულია.

¹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 24 ოქტომბრის #2/11/1276 საოქმო ჩანაწერი საქმეზე გიორგი ქეზურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, I-11.

¹³ იქვე, I-25.

¹⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 8 ოქტომბრის #1ვ/1547 განჩინება. <http://library.court.ge/judgements/72182015-10-19.pdf> [წვდომის თარიღი: 23.12.2019].



სასამართლო).¹⁵ ინფორმატორების ანონიმურობის დაცვის გარანტია შესაძლოა მათი სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით იყოს ნაკარნახევი, თუმცა აუცილებელია ბალანსის დაცვა მათ ინტერესებსა და ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლებას შორის.¹⁶ ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ იმ შემთხვევაში თუ ბრალდებულის მსჯავრდება მთლიანად ან არსებითად დაფუძნებულია ისეთ მტკიცებულებაზე, რომლის გამოკვლევის შესაძლებლობა დაცვის მხარეს არც ერთ ეტაპზე არ ჰქონდა, ბრალდებულის უფლება სამართლიან სასამართლოზე არამართლოზომიერად არის შეზღუდული.¹⁷

წლების მანძილზე, ამერიკის შეერთებული შტატებში, კონფიდენცის ან სხვა პირის მიერ საიდუმლოდ მიწოდებული ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩხრეკის ჩატარების წესები წესრიგდებოდა უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი ორწევროვანი ტესტის (*Aguilar-Spinelli test*) საფუძველზე.¹⁸ ჩხრეკის კანონიერების გადაწყვეტისას, სასამართლო ამოწმებდა (ა) არსებობდა თუ არა ფაქტები, რომლებიც მიუთითებდნენ პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენას და (ბ) ინფორმატორის სანდოობას ან ინფორმაციის უტყუარობას.¹⁹

საქმეზე *Illinois v. Gates*, უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ ორწევროვანი ტესტის კრიტერიუმები რელევანტური ფაქტორებია, თუმცა იმის გამო, რომ იგი მეტისმეტად ხისტი, ფორმალური და არაპრაქტიკულია, შეფასება არა ცალკე-ცალკე, არამედ ერთობლიობაში უნდა მოხდეს.²⁰ სასამართლომ დაადგინა, რომ ფაქტების ერთობლიობა (*totality of the circumstances*), რომელიც ქმნის დასაბუთებულ ვარაუდის საფუძველს, რომ კონკრეტული დანაშაული პირის მიერ არის ჩადენილი, ჩხრეკის ჩატარების საკმარისი წინაპირობაა.²¹ თუმცა, მიჩნეულია, რომ კონფიდენცის/სხვა პირის მიერ საიდუმლოდ მიწოდებული ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩხრეკის ჩატარების აღნიშნული სტანდარტი პოლიციას აღჭურავს ფართო უფლებამოსილებით, არღვევს ბალანსს საჯარო და კერძო ინტერესებს შორის და ქმნის თვითნებობის მომეტებულ საფრთხეს.²²

¹⁵ *Teixeira de Castro v. Portugal*, 9 June 1998, Reports of Judgments and Decisions 1998-IV [ECHR] § 35;

Ramanauskas v. Lithuania [GC], no. 74420/01, 5 February 2008 [ECHR] § 49-53.

¹⁶ *Doorson v. the Netherlands*, 26 March 1996, Reports of Judgments and Decisions 1996-II [ECHR] § 70.

¹⁷ *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom* [GC], nos. 26766/05 and 22228/06, 15 December 2011 [ECHR] § 128.

¹⁸ *Aguilar v. Texas*, 378 U.S. 108 (1964) <https://supreme.justia.com/cases/federal/us/378/108/>; [წვდომის თარიღი: 23.12.2019]; *Spinelli v. United States*, 393 U.S. 410 (1969) <https://supreme.justia.com/cases/federal/us/393/410/>; [წვდომის თარიღი: 23.12.2019].

¹⁹ Moore, 'Fourth Amendment: Totality of the Circumstances Approach to Probable Cause Based on Informant's Tips', 74 *Journal of Criminal Law and Criminology* (1983) 1249.

²⁰ *Illinois v. Gates*, 462 U.S. 213 (1983) <https://supreme.justia.com/cases/federal/us/462/213/>; [წვდომის თარიღი: 23.12.2019].

²¹ იქვე.

²² Woolcott, 'Abandonment of the Two-Pronged Aguilar-Spinelli Test *Illinois v. Gates*', 70 *Cornell Law Review* (1985) 316. აღსანიშნავია, რომ ჩხრეკის ჩატარების კანონიერების შეფასება დღემდე ორწევროვანი ტესტით ხდება ნიუ იორკის, ვერმონტის, ალასკის, ვაშინგტონის, ჰავაისა და მასაჩუსეტსის შტატებში.



აღსანიშნავია, რომ საიდუმლო თანამშრომლის/კონფიდენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ჩხრევის კონსტიტუციურობასა და ამგვარ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანასთან დაკავშირებით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ (საკონსტიტუციო სასამართლო) სარჩელი არსებითად განსახილველად მიიღო.²³ სასამართლომ ჩათვალა, რომ კონსტიტუციურ სარჩელში გამოკვეთილი იყოს აშკარა და ცხადი შინაარსობრივი მიმართება სადავო ნორმებს, პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის პრინციპს შორის.

იმის გათვალისწინებით, რომ წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ საქმის გადაწყვეტისას უნდა გამოიყენოს საკონსტიტუციო სასამართლოში არსებითად განსახილველად მიღებული, პირადი ჩხრევის მიმწესრიგებელი ნორმები, სასამართლოს შეგახსენებთ მის უფლებამოსილებას, აღნიშნული ნორმების კონსტიტუციასთან შეუსაბამობის მოტივით შეაჩეროს საქმის განხილვა და წარდგინებით მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს.²⁴

3.2. პირადი ჩხრევის დაწყების დრო

სისხლის სამართლის საქმეში არსებული ინფორმაციის მიხედვით, გიორგი რურუას პირადი ჩხრევა პატაკის ავტორის გამოკითხვის დასრულებიდან (13:01 საათი) ერთ წუთში, 13:02 საათზე დაიწყო. საინტერესოა, რამდენად იყო შესაძლებელი სავალდებულო საპროცესო მოქმედებების ერთ წუთში მოსწრება.

გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩხრევის ჩატარებამდე გამომძიებელი ვალდებულია პირს, ვისთანაც ტარდება ჩხრევა, გააცნოს დადგენილება.²⁵ დადგენილების გაცნობას წინ, რა თქმა უნდა, მისი შექმნა უნდა უძღვოდეს. დადგენილება გიორგი რურუას პირადი ჩხრევის წარმოების შესახებ შეიცავს ისეთ მნიშვნელოვან ინფორმაციას, როგორცაა მისი შექმნის თარიღი და ადგილი, დადგენილების შემდგენი პირის ვინაობა, სისხლის

²³ სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო კონსტიტუციური სარჩელი №1276 (გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ) სასარჩელო მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება:

ა) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების და 121-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლთან მიმართებით;

ბ) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადებას კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტთან მიმართებით.

<https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts/?legal=1933> [წვდომის თარიღი: 23.12.2019].

სადავო ნორმების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

²⁴ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მეორე პუნქტი.

²⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მეორე ნაწილი და 111-ე მუხლის მეოთხე ნაწილი.



სამართლის საქმის ნომერი, გადაუდებლად ჩატარების საფუძველები, ჩხრეკის ჩატარების ადგილი და ამოსაღები ობიექტი.

მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული მონაცემების დადგენილებაში ასახვისა და მისი გიორგი რურუასათვის 60 წამში გაცნობის ალბათობა მინიმალურია. აღნიშნულ ვარაუდს განამტკიცებს დადგენილების ბოლოში გაკეთებული შენიშვნები: (ა) „გიორგი რურუა გაცნო დადგენილებას მისი პირადი ჩხრეკის ჩატარების თაობაზე თუმცა გაურკვეველი მიზეზით უარი განაცხადა მის ხელმოწერაზე.“ (ბ) „მას ასევე გადაეცა დადგენილების ასლი.“ ბუნებრივია, ხელმოწერაზე უარის თქმის მიზეზის გარკვევასა და იმგვარი დასკვნის გამოტანას, რომ გიორგი რურუა ხელმოწერაზე გაურკვეველი მოტივით უარს აცხადებდა, დრო დასჭირდებოდა. გარდა ამისა, დადგენილების ასლის გადაღება და გიორგი რურუასთვის გადაცემაც დროში გაწელილი მოქმედება იქნებოდა.²⁶

ზემოაღნიშნული გარემოებების ერთობლიობაში გათვალისწინებით მივდივართ დასკვნამდე, რომ (ა) დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩხრეკის წარმოების შესახებ შედგენილია 13:01 საათამდე (პატაკის ავტორის გამოკითხვამდე);²⁷ ან (ბ) გიორგი რურუას პირადი ჩხრეკა დაიწყო 13:02 საათის შემდეგ და პირადი ჩხრეკის ოქმში არასწორი ინფორმაცია არის მითითებული; ან (გ) გიორგი რურუას პირადი ჩხრეკა ვაკის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე საერთოდ არ ჩატარებულა და ოქმში დრო მექანიკურად არის ჩაწერილი.²⁸ ნებისმიერ შემთხვევაში, ამკარა კანონის მოთხოვნათა უგულვებლყოფა, რაც 3.3-3.4 ქვეთავში ასახული დარღვევების მხედველობაში მიღებით, გიორგი რურუას პირადი ჩხრეკის ოქმის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის საფუძველი უნდა გახდეს.

3.3. პირადი ჩხრეკის ოქმის შინაარსი

საგამომიებო მოქმედების ოქმი, რომელიც საგამომიებო მოქმედების მსვლელობისას ან მისი დამთავრებისთანავე დგება, უნდა შეიცავდეს, საპროცესო კოდექსის XV თავით განსაზღვრულ, ფორმალურ და შინაარსობრივ რეკვიზიტებს. მიგვაჩნია, რომ გიორგი რურუას პირადი ჩხრეკის ოქმის შედგენისას დარღვეულია აღნიშნული თავით გათვალისწინებული მოთხოვნები.

²⁶ აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ დადგენილების ასლის გადაცემის ვალდებულებას ხისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს.

²⁷ ასეთ შემთხვევაში, გიორგი რურუას პირადი ჩხრეკის ჩატარების საფუძველი მხოლოდ პატაკი იქნებოდა, რაც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაქმნელად არასაკმარისი ინფორმაციაა.

²⁸ აღნიშნულ ვერსიას ადასტურებენ გ. ზ. და შ. ა. რომლებიც მიუთითებენ, რომ გიორგი რურუას პირადი ჩხრეკა შემთხვევის ადგილზე არ ჩატარებულა. გარდა ამისა, დაცვის მხარის პოზიციას, გიორგი რურუას ცეცხლსასროლ იარაღთან (ТОН1376) შემხებლობის ფაქტის არარსებობის შესახებ, განამტკიცებს ქიმიური ექსპერტიზის #599/რან და დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის #3727/დ დასკვნა (გიორგი რურუას ტანსაცმელს არც მეტალიზაციის კვალი აღენიშნებოდა და არც ცეცხლსასროლ იარაღზე იყო გიორგი რურუას ხელის კვლები).



ჩხრეკის დროს აღმოჩენილი საგანი, თუ შესაძლებელია, ამოღებამდე უნდა წარედგინოს საგამომიებო მოქმედებაში მონაწილე პირებს, შემდეგ ამოღებულ იქნეს, დაწვრილებით აღიწეროს ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშან-თვისებების მითითებით, დაილუქოს და, შესაძლებლობის შემთხვევაში, შეიფუტოს. შეფუთულ ნივთზე, ლუქის გარდა, უნდა აღინიშნოს თარიღი და იმ პირთა ხელმოწერები, რომლებიც საგამომიებო მოქმედებაში მონაწილეობდნენ.²⁹

გაუგებარია, რატომ უგულებელყო გამომიებელმა საპროცესო კანონმდებლობის ზემოაღნიშნული მოთხოვნები, როდესაც იგი ცეცხლსასროლი იარაღის ზოგადი აღწერით შემოიფარგლა. პირადი ჩხრეკის ოქმში მხოლოდ ის არის მითითებული, რომ გიორგი რურუას პირადი ჩხრეკისას ამოღებულ იქნა „მეტალის მუქი ფერის ცეცხლსასროლი იარაღი.“ ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით ირკვევა, რომ ცეცხლსასროლი იარაღის ნომერს (JIOH1376) მექანიკური ზემოქმედების კვალი არ აღენიშნება და წაკითხვადია შეუიარაღებელი თვალითაც კი (იხ. ბალისტიკური ექსპერტიზის #1261/ზ დასკვნის აღწერილობითი ნაწილი და ფოტო #8). პარადოქსია მაგრამ ფაქტია, რომ გამომიებელმა დეტალურად აღწერა საქმისათვის ნაკლები მნიშვნელობის ან მნიშვნელობის არმქონე ისეთი ნივთები, როგორცაა ტანსაცმელი - „511 ფირმის მოსერო ფერის შარვალი“ [სტილი დაცულია], მეტალის გასაღები - „წარწერით ADFQS“ და ფულადი კუპიურის სერია - „AA16384627“.

გარდა ამისა, პირადი ჩხრეკის ოქმში მითითებულია, რომ ამოღებული იარაღი მოთავსდა პაკეტში, რომელზეც გაკეთდა ხელმოწერები, დაისვა სისხლის სამართლის საქმის ნომერი და საგამომიებო მოქმედების ჩატარების თარიღი. ბალისტიკური ექსპერტიზის ფოტოცხრილში (იხ. ფოტო #1, #2, #3 და #4) ნათლად ჩანს, რომ ლუქზე გაკეთებულია მხოლოდ საგამომიებო მოქმედების ჩამტარებელი პირების ხელმოწერები, თარიღი და საქმის ნომერი. ლუქზე არც გიორგი რურუას ხელმოწერაა და არც შესაბამისი აღნიშვნა ხელმოწერის შესრულებაზე უარის თქმის შესახებ.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ პირადი ჩხრეკის ოქმში აღწერილი მოქმედებების ვიდეო- ანდა ფოტოგადაღება არ მომხდარა. მართალია, იგი საპროცესო კოდექსის იმპერატიული მოთხოვნა არ არის, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ საგამომიებო მოქმედების ჩამტარებლებს ტექნიკურ საშუალებებზე (მაგ. მობილური ტელეფონი) წვდომა შეზღუდული არ ჰქონდათ, გაუგებარია, რატომ არ ისარგებლეს ამ შესაძლებლობით და არ აწარმოეს საგამომიებო მოქმედების მიმდინარეობის ვიდეო- ანდა ფოტოგადაღება.³⁰

²⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მეექვსე ნაწილი, 135-ე მუხლის მეორე ნაწილი და 77-ე მუხლის მეორე ნაწილი.

³⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის მეოთხე ნაწილი.



იმის გამო, რომ მოქმედი საპროცესო კოდექსი ჩხრეკის ჩატარებისას დამსწრის მოწვევის ვალდებულებას აღარ ითვალისწინებს,³¹ საგამომიებო მოქმედების მონაწილეებად, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ გასაჩხრეკი პირი და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები გვევლინებიან. მათ საგამომიებო მოქმედების მიმდინარეობის შესახებ განსხვავებული ვერსიები და პოზიციები შეიძლება ჰქონდეთ. სწორედ ამიტომ, ტექნიკური საშუალებების გამოყენებას გადამწყვეტი როლი აქვს ფაქტებისა და მოვლენების ფიქსაციისათვის, საგამომიებო მოქმედების სურათის აღდგენისა და მისი პროცესის მონაწილეებისათვის წარდგენისათვის.³²

იმის გათვალისწინებით, რომ საგამომიებო მოქმედებაში (პირადი ჩხრეკის ოქმზე დაყრდნობით) სამი პოლიციელი იღებდა მონაწილეობას და გიორგი რურუა მათ ფიზიკურ წინააღმდეგობას არ უწევდა, ადვილად შესაძლებელი იყო ერთ-ერთი პოლიციელის მიერ ჩხრეკის მიმდინარეობის ვიდეო- ანდა ფოტოგადაღება. აღნიშნული მოქმედება გაფანტავდა იმ ლეგიტიმურ ექვებს, რომელიც გიორგი რურუას პირადი ჩხრეკის ჩატარებასთან დაკავშირებით არსებობს.

3.4. პირადი ჩხრეკის ოქმის სხვა დარღვევები

გიორგი რურუას პირადი ჩხრეკის ოქმში მითითებულია, რომ ჩხრეკა მიმდინარეობდა მშვიდ ვითარებაში, წინააღმდეგობის გაწევის გარეშე. აღნიშნული ჩანაწერი წინააღმდეგობაში მოდის გიგა დარსაველიძის მიერ გამოკითხვისას მიცემულ განმარტებასთან. მან განაცხადა, რომ გიორგი რურუას პირადი ჩხრეკის დროს შეეთავაზა ამოღებული მობილური ტელეფონის განხლოკვა, რაზეც მან უარი განაცხადა.³³ აღნიშნული ინფორმაცია პირადი ჩხრეკის ოქმში არსად არ ფიქსირდება.

გამომიებელი ვალდებული იყო, საგამომიებო მოქმედების მიმდინარეობა ზედმიწევნით, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების მითითებით აესაზა პირადი ჩხრეკის ოქმში.³⁴ შესაბამისად, მას წინააღმდეგობის გაწევის ფაქტი ოქმში უნდა დაეფიქსირებინა.³⁵

გარდა ამისა, ზუნდოვანია, რა მიზანს ემსახურებოდა გიორგი რურუას პირადი ჩხრეკისას ისეთი არარელევანტური ნივთების ამოღება, როგორცაა მეტალის გასაღები, მობილური

³¹ შეად. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვალი) 102-ე მუხლი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (2009 წლის 9 ოქტომბერი) 331-ე მუხლი და 333-ე მუხლის შესაბამე ნაწილი.

³² თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2018 წლის 2 თებერვლის №1გ/133-18 განჩინება <http://library.court.ge/judgements/64672018-02-05.pdf> [წვდომის თარიღი: 23.12.2019].

³³ იხ. გ. დ.-ის 2019 წლის 19 ნოემბრის გამოკითხვის ოქმი: „ჩვენ შევთავაზეთ გიორგი რურუას, ტელეფონის ჩართვა იმეი კოდის ამოწერის მიზნით, რაზეც მან განგვიცხადა უარი.“ [სტილი დაკულოია].

³⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის შესაბამე ნაწილი.

³⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის მეორე ნაწილი.



ტელეფონის დამტენი, საფულე, სავიზიტო ბარათები და სხვადასხვა მადაზიის 18 ბონუს ბარათი.

როგორც წესი ჩხრეკის მიმდინარეობისას სწორედ იმ საგანის, დოკუმენტისა თუ ნივთიერების ამოღება ხდება, რომელიც სასამართლოს განჩინებაში/გამომძიებლის დადგენილებაში არის მითითებული. ამის გარდა, შესაძლებელია ამოღებული იქნეს ინფორმაციის შემცველი ობიექტი, რომელიც (ა) შესაძლოა საქმისათვის მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე იყოს, (ბ) ამოღებულია სამოქალაქო ზრუნვიდან ან (გ) აშკარად მიუთითებს სხვა დანაშაულზე.³⁶

გიორგი რურუას პირადი ჩხრეკისას ამოღებულ ზემოაღნიშნულ ნივთებთან დაკავშირებით რაიმე სახის საგამოძიებო მოქმედება ჩატარებული არ არის. ისინი არც დანაშაულის ან ზრალის დამადასტურებელი ინფორმაციის მატარებლები არიან.³⁷ შესაბამისად, გაუგებარია რას ემსახურებოდა ამ ნივთების ამოღება.

ამდენად, გიორგი რურუას პირადი ჩხრეკის ოქმი შედგენისასა და ცეცხლსასროლი იარაღის დალუქვისას არსებითად არის დარღვეული საპროცესო კოდექსის მოთხოვნები. საპროცესო კოდექსის ნორმების უხეში უგულვებელყოფა და ექსპერტიზის დასკვნების შინაარსი³⁸ ექვემდებარება აყენებს გიორგი რურუას ცეცხლსასროლ იარაღთან შემხებლობასა და მტკიცებულების ავთენტურობას.³⁹ აღნიშნული კი პირადი ჩხრეკის ოქმისა და ამოღებული ნივთიერი მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობის საფუძველია.

IV. ავტომანქანის ჩხრეკის შესაბამისობა კანონმდებლობასთან

სისხლის სამართლის საქმეში არსებული ინფორმაციის თანახმად, პოლიციელების მიერ გიორგი რურუასა და მის თანმხლებ პირებთან პირველი კონტაქტი დაახლოებით 13:00 საათზე მოხდა. ბრალდების მხარის მტკიცებით, არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა, რომელიც საჭიროებდა გიორგი რურუას კუთვნილი ავტომანქანის ჩხრეკას.⁴⁰ დადგენილებაში მითითებულია, რომ ჩხრეკის ჩატარების დაყოფნებს შესაძლოა გამოეწვია გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება. სწორედ ამ დაშვების საპირისპიროდ, ავტომანქანის ჩხრეკა 16:40 საათზე, გიორგი რურუასა და მის თანმხლებ პირებთან ინტერაქტივიდან 3 საათისა და 40 წუთის შემდეგ დაიწყო.

³⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მეხუთე ნაწილი.

³⁷ არც ერთი ობიექტი არ შეიცავს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციას, რომელიც ბრალდების დასადასტურებლად შეიძლება იქნეს გამოყენებული.

³⁸ იხ. დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის #3727/დ და ქიმიური ექსპერტიზის #599/რან დასკვნა.

³⁹ მტკიცებულების ავთენტურობა პირველ რიგში, მისი მოპოვების ხერხის კანონიერებას უკავშირდება.

⁴⁰ იხ. 2019 წლის 18 ნოემბრის დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში შ. ა. -ის პირადი ჩხრეკის წარმოების შესახებ და 2019 წლის 18 ნოემბრის დადგენილება გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ავტომანქანის ჩხრეკის წარმოების შესახებ.



პრობლემურია ის ფაქტიც, რომ ავტომობილის ჩხრეკა არა შემთხვევის ადგილზე, არამედ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის ეზოში ჩატარდა.⁴¹ პოლიციელთა ინფორმაციით, ავტომობილის ადგილზე ჩხრეკა სავალი ნაწილის სივიწროვის, შექმნილი საცობისა და გამვლელ პირთა მომეტებული ინტერესის გამო ვერ მოხდა.

მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული არგუმენტი დამაჯერებლობას მოკლებულია, ვინაიდან (ა) „ვიწრო გზის“ სიგრძე მხოლოდ და მხოლოდ 300-400 მეტრია.⁴² შესაბამისად, ზემოაღნიშნული გარემოებების არსებობის შემთხვევაში, უნდა მომხდარიყო გიორგი რურუას ავტომანქანის ამ მონაკვეთის ფარგლებს გარეთ გადაადგილება და საგამომიებო მოქმედებების დაუწყონებლივ ჩატარება; (ბ) შემთხვევის ადგილზე მყოფი პოლიციელების რაოდენობა⁴³ იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ მათ ტერიტორია დაეცვათ და საგამომიებო მოქმედება შეუფერხებლად ჩატარებინათ. იმ შემთხვევაში თუ ავტომანქანის საგამომიებო ორგანოს ადმინისტრაციულ შენობის ეზოში, გადაყვანის აუცილებლობა მაინც დადგებოდა, უნდა მომხდარიყო მისი გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში ამოღება და დალუქვა.

აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ ავტომანქანის ჩხრეკა არ ჩატარებულა მისი საგამომიებო ორგანოს ადმინისტრაციულ შენობის ეზოში გადაყვანისთანავე. გამოძიების მასალების მიხედვით, ავტომანქანის ჩხრეკის დაწყებას (16:40) წინ შ. ა.-ის პირადი ჩხრეკა უსწრებდა (14:08-14:33). იმ პირობებში, როდესაც საგამომიებო ორგანოს მტკიცებით, არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა, გაუგებარია თუ რატომ არ ჩატარდა ავტომობილის ჩხრეკა დაუწყონებლივ, შ. ა.-ის პირად ჩხრეკამდე ან მისი დასრულებიდან მალევე.

შ. ა.-ის განმარტება სამართალდამცავი ორგანოს თანაშრომლების საექვო ქმედებების შესახებ⁴⁴ ქმნის იმის ვარაუდს, რომ პოლიციელების ინტერესის ობიექტს მხოლოდ გიორგი

⁴¹ აღნიშნულ ობიექტებს შორის მანძილი რვა კილომეტრზე მეტია. <https://cutr.ly/Brtbvdb> [წვდომის თარიღი: 23.12.2019].

⁴² <https://cutr.ly/vrshRmf> [წვდომის თარიღი: 23.12.2019].

⁴³ შ. ა.-ის 2019 წლის 18 ნოემბრის გამოკითხვის ოქმში არსებული ინფორმაციის მიხედვით შემთხვევის ადგილზე საპატრულო ევიპაჟის გარდა იმყოფებოდა 5-6 პოლიციელი. შ. ა.-ის კ. ბ. მ.-ის კ. ბ. კ.-ისა და ქ. ა. ბ.-ს გამოკითხვის ოქმების მიხედვით, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ შეიქმნა რამდენიმე ოპერატიული ჯგუფი, რომლებიც შემთხვევის ადგილისაკენ გაემართნენ.

⁴⁴ იხ. შ. ა.-ის 2019 წლის 18 ნოემბრის გამოკითხვის ოქმი, რომელშიც აღწერილია ვაკის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე ავტომობილის გაჩერებისა და გიორგი რურუას დაკავების შემდეგ განვითარებული მოვლენები. კერძოდ, შ. ა.-ს ავტომანქანაში ჩაუჯდა პოლიციის ორი თანაშრომელი, რომელთა მოთხოვნითაც მან მოძრაობა წყნეთის გზატკეცილზე გააგრძელა, სტუდენტულის მიმდებარე ტერიტორიაზე დაახლოებით 10 წუთი გაჩერდა, რის შემდეგაც თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობისკენ გაემართა. ადგილზე მისვლის შემდეგ, მის უკან მჯდომი პოლიციელი გადავიდა ავტომანქანიდან, მისთვის უცნობ პირს გამოართვა რაღაც ნივთი და ისევ ჩაჯდა ავტომანქანაში. მართალია ამის შემდეგ, მან ავტომანქანა ჩაკეტა, თუმცა გასაღები სხვა პირად ნივთებთან ერთად პოლიციის დეპარტამენტის შესასვლელში

რურუა წარმოადგენდა და მათ მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედებები იქნა ჩადენილი. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ შ. ა.-ის პირადი ჩხრეკა, რომელიც თითქოს გადაუდებელი აუცილებლობის პირობებში მოხდა, მხოლოდ და მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ამის თქმის საფუძველს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების ადგილი იმლევა. შ. ა.-ის გამოკითხვისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით დასტურდება, რომ პირადი ჩხრეკა თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობაში მას შემდეგ ჩატარდა, რაც შ. ა.-მ პირადი ნივთები შენობაში შესვლამდე შემნახველ კარადაში დატოვა. ლოგიკას მოკლებულია იმის მტკიცება, რომ პირადი ნივთების დატოვებისა და შენობაში შესვლამდე გავლილი უსაფრთხოების შემოწმების შემდეგ, შ. ა.-ს რაიმე კანონსაწინააღმდეგო ნივთი ანდა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ობიექტი აღმოაჩნდებოდა. გარდა ამისა, არ არ მომხდარა გიორგი რურუას თანმხლები მეორე პირის - გ. გ.-ის პირადი ჩხრეკა. იმ შემთხვევაში თუ არსებობდა შ. ა.-ის პირადი ჩხრეკის საფუძველი, გაუგებარია, იმავე პირობებში რატომ არ დაისვა გ. გ.-ის მიმართ საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საკითხი.⁴⁵

მართალია, საპროცესო კოდექსი არ განსაზღვრავს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების რიგითობას, თუმცა გამოძიებულს გამოძიების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად წარმოების ვალდებულება აქვს.⁴⁶ ამასთან, საგამოძიებო მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონიერებისა და კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის პრინციპებს. საგამოძიებო მოქმედების მიმდინარეობა და გამოძიების პროცესი არ უნდა იწვევდეს არაობიექტურობისა და მიკერძოების განცდას.

მტკიცებულება დაუშვებელია, თუ იგი მოპოვებულია საპროცესო კოდექსით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მასზე ჩატარებული მანიპულაციის შესახებ.⁴⁷ მიუხედავად იმისა, რომ ავტომანქანის ჩხრეკისას ფორმალურად დაცულია საპროცესო კოდექსის მოთხოვნები, გ. გ.-ისა და შ. ა.-ის მიერ გამოკითხვისას მოწოდებული ინფორმაცია, შ. ა.-ის პირადი ჩხრეკისა და ავტომანქანის

არსებულ კარადაში დატოვა. სწორედ ამ მოვლენებისა და პოლიციის შენობაში ასვლის შემდეგ ჩატარდა შ. ა.-ის პირადი ჩხრეკა.

⁴⁵ ფორმალურად ჩატარებულ მოქმედებებზე მიუთითებს 2019 წლის 18 ნოემბრის ბინაზე გამოცხადების ოქმიც. ბრალდების მხარეს მტკიცებით, მას სურვილი ჰქონდა გიორგი რურუას საცხოვრებელ ბინაში ჩატარებინა საგამოძიებო მოქმედება (ბინის ჩხრეკა), მაგრამ მისი ჩატარება მხოლოდ იმიტომ გადაიფიქრა, რომ ბინა დაკეტილი დახვდა. თუ ბინაზე გამოცხადება ფორმალურ ხასიათს არ ატარებდა და ნამდვილად არსებობდა საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საფუძველი, გაუგებარია, განმეორებით რატომ არ შემოწმდა ბრალდებულის ბინა ან რატომ არ იქნა გამოყენებული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სხვა შესაძლებლობები.

⁴⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მეორე ნაწილი.

⁴⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მეორე ნაწილი. „მტკიცებულება ასევე დაუშვებელია, თუ იგი მოპოვებულია ამ კოდექსით დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ.“

ჩხრეკის მიმდინარეობა ქმნის გონივრული ეჭვის საფუძველს, რომ მაცუჩი გიორგი რურუას ავტომანქანაში პოლიციელების უკანონო მოქმედებების შედეგად აღმოჩნდა.

ბრალდების მხარეს, რომელიც ვალდებულია ამტკიცოს მის მიერ მოპოვებული მტკიცებულების დასაშვებობა,⁴⁸ არ ჩაუტარებია ისეთი საგამომიებო მოქმედება, რომელიც დაცვის მხარისა და ბრალდებულის თანხლები პირების მიერ გამოძიების საწყის ეტაპზე გაცხადებულ პოზიციას გადაამოწმებდა და გამორიცხავდა. იგი მხოლოდ შემთხვევის ადგილზე მყოფი პირების გამოკითხვით შემოიფარგლა, რაც ლეგიტიმური ეჭვების გასაქარწყლებლად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი მოქმედებაა.

გარდა ამისა, ორგანიზაციის ინფორმაციით, გიორგი რურუას მიმართ პოლიციის თანამშრომლების მიერ განხორციელებულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე გამოძიება არც კი დაწყებულია. აღნიშნული გარემოება ეწინააღმდეგება საპროცესო კოდექსის იმპერატიულ მოთხოვნას, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში გამოძიებლის ან პროკურორის მიერ გამოძიების დაწყების ვალდებულების შესახებ.⁴⁹ უფლებათა დაცვის არაერთი საერთაშორისო ინსტრუმენტი მიუთითებს საბელშჩიფოს ვალდებულებაზე, ჩაატაროს დროული, საფუძვლიანი და ეფექტიანი გამოძიება, რომელიც უზრუნველყოფს დარღვეული უფლების აღდგენას, დამნაშავე პირთა იდენტიფიცირებასა და მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას.⁵⁰

V. დაცვის უფლება

დაცვის მხარე მიუთითებს, რომ გიორგი რურუას არამართლზომიერად შეეზღუდა დაცვის უფლება,⁵¹ რადგან დაკავებისა და გამოძიების საწყის ეტაპზე მას არ მიეცა ადვოკატსა და ოჯახის წევრებთან დაკავშირების შესაძლებლობა.

⁴⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის შესაბამე ნაწილი.
⁴⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის პირველი ნაწილი.
⁵⁰ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლის მესამე პუნქტი; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-13 მუხლი; UN Human Rights Committee (HRC), General comment no. 31 [80], The Nature of the General Legal Obligation Imposed on States Parties to the Covenant, 26 May 2004, para 15; Ochoa S. J. O., *The Rights of Victims in Criminal Justice Proceedings for Serious Human Rights Violations* (2013), at 37-48; Lavrysen L., "Protection by the Law: the Positive Obligation to Develop a Legal Framework to Adequately Protect ECHR Rights", in Y. Haack and E. Brems (eds.), *Human Rights and Civil Liberties in the 21st Century* (2014) at 111-117.
⁵¹ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მესამე პუნქტი; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის მესამე პუნქტის „c“ ქვეპუნქტი; სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მესამე პუნქტის „d“ ქვეპუნქტი.

ადვოკატზე ხელმისაწვდომობის უფლება არის სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი ფუნდამენტური ელემენტი.⁵² შეჯიბრებითობის პრინციპის უზრუნველყოფა, ეფექტიანი სტრატეგიის არჩევა, საგამოძიებო მოქმედებების დროული ჩატარება, დარღვეული უფლების აღდგენა, არასათანადო მოპყრობისა და სამართალდამცავების თვითნებობის პრევენცია მეტწილად სწორედ ბრალდებულის ადვოკატთან დროულ და შეუფერხებელ კომუნიკაციაზე არის დამოკიდებული.⁵³ აუცილებელია, დაკავებულს ადვოკატის თავისუფლად არჩევისა და მასთან დაკავშირების ადეკვატური შესაძლებლობა მიეცეს.⁵⁴

საპროცესო კოდექსი იმეორებს საერთაშორისო აქტებით განმტკიცებულ პრინციპებს და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელს ავალდებულებს დაკავების შემთხვევაში ბრალდებულს განუმარტოს ე.წ. მირანდას უფლებები,⁵⁵ მათ შორის ადვოკატის არჩევისა და ყოლის უფლება.⁵⁶ ბრალდებული ასევე უფლებამოსილია დაკავებისთანავე ოჯახის წევრს ან ახლო ნათესავს შეატყობინოს დაკავების ფაქტი, ადგილსამყოფელი და მდგომარეობა.⁵⁷ ამ ნორმის მიზანი ბრალდებულის სათანადო გარანტიებით აღჭურვაა, რათა ადვოკატის სისხლის სამართლის საქმეში ჩართვა დროულად იქნეს უზრუნველყოფილი. ეს უფლება უნდა განვასხვავოთ ბრალდების მხარის ვალდებულებიდან, ბრალდებულის დაკავებიდან არაუგვიანეს 3 საათის ვადაში დაკავების ფაქტი მისი ოჯახის რომელიმე წევრს, ნათესავს ან ახლობელს შეატყობინოს.⁵⁸

სისხლის სამართლის საქმეში არსებული გარემოებები მიუთითებენ საგამოძიებო ორგანოს სურვილზე თავიდან აეცილებინა ადვოკატის დროული ჩართულობა. პირველ რიგში, ჩვენ ყურადღებას იპყრობს ბრალდებულ გიორგი რურუას 2019 წლის 18 ნოემბრის გამოკითხვის ოქმი, რომლის ჩატარების დროდ 14:30-14:45 საათი არის მითითებული. მასში აღნიშნულია, რომ გიორგი რურუას განემარტა დაცვის უფლება და გამოკითხვის ნებაყოფლობითი ხასიათი, თუმცა საქმეში არსებული სხვა გამოკითხვის ოქმებისაგან განსხვავებით, მასში დაფიქსირებული არ არის გიორგი რურუას პოზიცია ადვოკატის-ყოლასთან დაკავშირებით.

⁵² *Demebukov v. Bulgaria*, no. 68020/01, 28 February 2008 [ECHR] §50.

⁵³ *Beuze v. Belgium* [GC], no. 71409/10, 9 November 2018 [ECHR] §125-130, 133-134;

UN Human Rights Committee (HRC), CCPR General Comment No. 32, Article 14: Right to Equality before Courts and Tribunals and to a Fair Trial, 23 August 2007, para 23;

UN General Assembly (GA), United Nations Standard Minimum Rules for the Treatment of Prisoners (Nelson Mandela Rules), GA Resolution 70/175, 8 January 2016, rule 61);

Nowak, M., *UN Covenant on Civil and Political Rights: CCPR Commentary* (2005) N. P. Engel Verlag (Germany), at 24-27.

⁵⁴ UN Basic Principles on the Role of Lawyers, 7 September 1990, arts. 7 and 8.

⁵⁵ *Miranda v. Arizona*, 384 U.S. 436 (1966), <https://supreme.justia.com/cases/federal/us/384/436/> [წვდომის თარიღი: 24.12.2019].

⁵⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები.

⁵⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მეათე ნაწილი.

⁵⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილი.



მწელოდ სავარაუდოა, ბრალდებულს, იმ შემთხვევაში თუ სრულყოფილად განემარტა მისი უფლებები, არ ესარგებლა ადვოკატის მომსახურებით, მაშინ როცა იგი გამოძიებას თავიდანვე უნდობლობას უცხადებდა. საფუძველს მოკლებული იქნება იმის მტკიცება, რომ გიორგი რურუას ფინანსური თუ სხვა პირადი მოტივით შესაძლოა თავი შეეკავებინა ადვოკატთან დაკავშირების მოთხოვნისაგან. საქმეში *Salduz v. Turkey*, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას ბრალდებული არის განსაკუთრებით მოწყვლადი და იგი ადვილად შეიძლება დაექვემდებაროს იძულებასა თუ სხვა სახის შევიწროებას. ეს რისკები კი შესაძლოა თავიდან იქნეს აცილებული ადვოკატის დროული ჩართულობით.⁵⁹

გარდა ამისა, ოქმი გიორგი რურუას დაკავების თაობაზე ახლო ნათესავისათვის შეტყობინების შესახებ შედგენილია 16:03 საათზე. მიგვაჩნია, რომ შეტყობინების სამსაათიანი ვადა არა დაკავების (13:15 საათი), არამედ პირადი ჩხრევის დაწყებიდან (13:02 საათი) უნდა ათვლილიყო.

საპროცესო კოდექსის მიხედვით პირი დაკავებულად ითვლება მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან.⁶⁰ საქმეში *Gillan and Quinton v. the United Kingdom*, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ დროის მცირე მონაკვეთის მიუხედავად, ჩხრევის ჩატარებისას პირს შეზღუდული აქვს თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა, ამიტომ, აშკარაა თავისუფლების უფლებაში ჩარევის ფაქტი.⁶¹

ამის მსგავსად, საქმეში *Brendlin v. California*, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ პირი, რომელიც შეჩერებულია პოლიციის მიერ, შეზღუდული აქვს თავისუფალი გადაადგილების საშუალება და აქვს გონივრული ვარაუდი, რომ იგი არის პოლიციის კონტროლის (subject to the authority of the police) ქვეშ, სარგებლობს დაკავებულის საპროცესო უფლებებით.⁶²

ამდენად, იმ შემთხვევაში თუ პირად ჩხრეკას პირის დაკავება მოსდევს, სამსაათიანი ვადის ათვლა ჩხრევის დაწყებიდან უნდა მოხდეს. შესაბამისად, გიორგი რურუას დაკავების ფაქტის დადგენილ ვადაში (16:02 საათამდე) გაუზიარებლობამ და გამოძიების საწყის ეტაპზე ბრალდებულისათვის იმ შესაძლებლობის მოსპობამ, რომ დროულად დაკავშირებოდა ახლო ნათესავებსა და ადვოკატს, დაარღვია ბრალდებულის დაცვის უფლება.

⁵⁹ *Salduz v. Turkey* [CC], no. 36391/02, 27 November 2008 [ECHR] §54-55.

⁶⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 170-ე მუხლის მეორე ნაწილი.

⁶¹ *Gillan and Quinton v. the United Kingdom*, no. 4158/05, 12/01/2010 [ECHR] §56-57.

⁶² *Brendlin v. California*, 551 U.S. 249 (2007) <https://supreme.justia.com/cases/federal/us/551/249/>. [წვდომის თარიღი: 24.12.2019].



ბრალდებულის დაცვის უფლების დარღვევად უნდა მივიჩნიოთ ის შემთხვევა, როდესაც გამოძიებელმა გიორგი რურუას პირადი ნივთები, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ადვოკატის მონაწილეობის გარეშე ამოიღო.⁶³

2019 წლის 28 დეკემბრის განჩინებით დაკმაყოფილდა ბრალდების მხარის შუამდგომლობა გიორგი რურუას საკნიდან თეთრეულის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, კბილის ჯაგრისის, სავარცხელისა და პირსახოცის ამოღების თაობაზე. 2020 წლის 3 იანვარს გამოძიებელმა გადაწყვიტა საგამომიებო მოქმედების ჩატარება. იგი ადვოკატ დიმიტრი სამაგლიშვილს ვერ დაუკავშირდა, ხოლო შოთა კახიძემ განუცხადა, რომ იმავე დღეს (პარასკევს) საგამომიებო მოქმედებაში მონაწილეობას ვერ შეძლებდა, თუმცა შესთავაზა საგამომიებო მოქმედება 6 იანვარს (ორშაბათს) ჩატარებინათ. გამოძიებელს ამ წინადადებაზე უარი არ უთქვამს,⁶⁴ თუმცა მოგვიანებით გამოძიებელმა გადაწყვიტა გიორგი რურუას პირადი ნივთების საკნიდან ამოღება 3 იანვარს, ადვოკატების მონაწილეობის გარეშე, მომხდარიყო.

საპროცესო კოდექსის თანახმად, ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს ადვოკატის დასწრება მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამომიებო მოქმედების დროს.⁶⁵ „თუ ადვოკატი საპატიო მიზეზით არ იღებს მონაწილეობას დანიშნულ საგამომიებო მოქმედებაში, პროკურორი ვალდებულია იმ საგამომიებო მოქმედების ჩატარება, რომელშიც ადვოკატს უნდა მიეღო მონაწილეობა, ერთჯერადად გადადოს გონივრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 5 დღისა. [...] ადვოკატის გამოუცხადებლობა არ იწვევს გადაუდებელი საგამომიებო მოქმედების ჩატარების გადადებას.“⁶⁶

გამომძიებელმა ზ. ბ. - მან გამოკითხვისას განმარტა, რომ საგამომიებო მოქმედების ადვოკატის მონაწილეობის გარეშე ჩატარება იმიტომ გადაწყვიტა, რომ არსებობდა ამოსაღები ნივთების გადაძალვისა და განადგურების საფრთხე და სასამართლოს განჩინება იყო იძულებითი ღონისძიება.⁶⁷ გაუგებარია, როგორ შეეძლო გიორგი რურუას თეთრეულის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, კბილის ჯაგრისის, სავარცხელისა და პირსახოცის განადგურება ან გადაძალვა, მაშინ როცა (ა) იგი საკანში განცალკევებით იმყოფებოდა და (ბ) მასზე 24 საათიანი ვიზუალურ-ელექტრონული მეთვალყურეობა მიმდინარეობდა.⁶⁸

⁶³ იხ. 2020 წლის 3 იანვრის ამოღების ოქმები.
⁶⁴ იხ. 2020 წლის 3 იანვრის ოქმი მონიღურ ტელეფონზე ხაზბრის შესახებ.
⁶⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მეშვიდე ნაწილი.
⁶⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამის ნაწილი.
⁶⁷ იხ. ზ. ბ. - მან გამოკითხვის ოქმი. „მოსამართლის განჩინება არის იძულებითი ღონისძიება და არ არის სავალდებულო საგამომიებო მოქმედებას დაესწროს ადვოკატი“. საპროცესო კოდექსი ამ მოტივით ადვოკატის მონაწილეობის შეზღუდვას არ იცნობს. საგამომიებო მოქმედება ადვოკატის დასწრების გარეშე შეიძლება ჩატარდეს თუ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობის პირობები.
⁶⁸ იხ. N8 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების ადვოკატის დაწესებულების წერილი გიორგი რურუას მდგომარეობის შესახებ. #387144/25

გარდა ამისა, გამომძიებლის მიერ არ იქნა გამოჩენილი სათანადო გულმოდგინება, რომელიც ადვოკატის საგამომძიებო მოქმედებაში მონაწილეობას უზრუნველყოფდა. ბრალდების მხარემ არ გაარკვია რატომ არ შეეძლო შოთა კახიძეს საგამომძიებო მოქმედებაში იმავე დღეს მონაწილეობა და იყო თუ არა მისი უარი საპატიო. გამომძიებელი მხოლოდ ვარაუდს დაეყრდნო, რომ ორშაბათამდე ადვოკატები გიორგი რურუს ინფორმირებას მოახდენდნენ, რის შემდეგაც ბრალდებული მტკიცებულებებს გაანადგურებდა/გადამალავდა. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ გამომძიებელი მხოლოდ დიმიტრი სამაგლიშვილსა და შოთა კახიძეს დაუკავშირდა, მაშინ როცა გიორგი რურუს ინტერესებს გიორგი ჩივიაშვილიც იცავდა.⁶⁹

ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებებით დასტურდება, რომ გიორგი რურუს პირადი ნივთების ამოღების ადვოკატის მონაწილეობის გარეშე ჩატარებას არ ჰქონდა ლეგიტიმური მიზანი და დაცვის უფლება გაუმართლებლად იქნა შეზღუდული.

VI. სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა

6.1. ნიმუშის აღება - საგამომძიებო მოქმედების ერთ-ერთი სახე

იმის დასადგენად, არის თუ არა ნიმუშის აღებაზე უარის თქმა სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა, აუცილებელია დადგინდეს ნიმუშის აღების ადგილი და მნიშვნელობა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში.

საპროცესო კოდექსის IV კარი (გამომძიება) შედგება ხუთი თავისგან: თავი XIV (გამომძიების საფუძვლები), თავი XV (საგამომძიებო მოქმედებები), თავი XVI (კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამომძიებო მოქმედებები), თავი XVI¹ (ფარული საგამომძიებო მოქმედებები) და თავი XVII (სხვა საპროცესო მოქმედებები).

გავრცელებული მოსაზრება, სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებული ღონისძიებების საგამომძიებო მოქმედებებად, საპროცესო გადაწყვეტილებებად და საპროცესო მოქმედებებად დაყოფის თაობაზე, არასწორად მიგვაჩნია.⁷⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამგვარ კლასიფიკაციას არ იცნობს.⁷¹ გამოძიება უფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებულ მოქმედებათა ერთობლიობაა, რომლის მიზანი დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებების შეგროვებაა.⁷² იმის გამო, რომ ნიმუშის აღება ფაქტების დადასტურების ან უარყოფის, ქმედების სამართლებრივი შეფასების ანდა მხარეების

⁶⁹ იხ. იურიდიული კომპანია Legal Consulting and Services 2019 წლის #18/11/2019 ორდერი.

⁷⁰ იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომძიებო კოლეგიის 2016 წლის 20 ოქტომბრის #1გ/1614-16 განჩინება <http://library.court.ge/judgements/98182016-10-24.pdf> [წვდომის თარიღი: 24.12.2019].

⁷¹ ბრალდების მხარის მიერ განხორციელებული ნებისმიერი საგამომძიებო მოქმედება საპროცესო მოქმედებაა.

⁷² საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეათე ნაწილი.

უფლებებისა და კანონიერ ინტერესებს დაცვის საშუალება შეიძლება იყოს, იგი საგამოძიებო მოქმედების ერთ-ერთ სახედ უნდა ჩაითვალოს.

ამის საპირისპიროდ, მოწინააღმდეგე შეიძლება ამტკიცოს, რომ ნიმუშის აღება საგამოძიებო მოქმედებას არ წარმოადგენს, რადგან იგი XVII თავში არის მოცემული, რაც სხვა საპროცესო მოქმედებებს გულისხმობს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული არგუმენტი მხოლოდ და მხოლოდ საკითხის უედაპიროული შეფასების შემდეგ შეიძლება იქნეს გაზიარებული. ამ მტკიცების საპირისპიროდ, არაერთი ფაქტი მიუთითებს, რომ ნიმუშის აღება სწორედ საგამოძიებო მოქმედების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს.

პირველ რიგში, ნიმუშის აღება (სსსკ-ის 147-ე და 148-ე მუხლები) IV კარის (გამოძიება) შემადგენელი ნაწილია. ტერმინი „სხვა საპროცესო მოქმედებები“ გულისხმობს, რომ წინა თავებით გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებებიც საპროცესო მოქმედებებია და პირიქით.⁷³

გარდა ამისა, საპროცესო კოდექსის XV და XVII თავებს შორის იმაზე მეტი შინაარსობრივი კავშირი არსებობს, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. სახელდობრ ნიმუშის აღებას საპროცესო კოდექსის მხოლოდ ორი მუხლი ეთმობა.⁷⁴ მართალია, მასში მოცემულია ნიმუშის აღების ჩატარების საფუძველი და წესი, თუმცა იგი არ განსაზღვრავს ოქმის შედგენის სავალდებულო რეკვიზიტებს. ეჭვგარეშეა, რომ ნიმუშის აღებისას მხარეები XV თავში მოცემული საგამოძიებო მოქმედების ოქმის შესახებ ზოგადი დებულებებით ხელმძღვანელობენ.⁷⁵ სხვაგვარად შეუძლებელი იქნება იმის გარკვევა, ნიმუშის აღების ოქმის შედგენისას დარღვეული იქნა თუ არა კანონის მოთხოვნები. გარდა ამისა, XV თავშივე არის განსაზღვრული ყადაღის (XVII თავში მოცემული სხვა საპროცესო მოქმედება) ოქმის შედგენისას გასათვალისწინებელი გარემოებები.⁷⁶

⁷³ ნიმუშის აღება არაერთი ქვეყნის კანონმდებლობით საგამოძიებო მოქმედების ერთ-ერთ სახედ არის განსაზღვრული. მაგ., ნიდერლანდების სამეფოს (Criminal Procedure Code of the Kingdom of Netherlands, Section 195d (http://www.ejtn.eu/PageFiles/6533/2014%20seminars/Omsenier/WerboekvanStrafvordering_ENG_PV.pdf) ახალი ზელანდიის (Criminal Investigations (Bodily Samples) Act 1995 (<http://www.legislation.govt.nz/act/public/1995/0055/ares/DLM368904.html>) სლოვაკეთისა (Act on Criminal Judicial Procedure, Section 114, <https://www.legislationline.org/documents/id/3850>) და აზერბაიჯანის (Code of Criminal Procedure, Article 273, <https://www.legislationline.org/documents/action/popup/id/8876>) საპროცესო კანონმდებლობა [წვდომის თარიღი: 24.12.2019].

⁷⁴ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 147-ე და 148-ე მუხლები (XVII თავი).

⁷⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლი.

⁷⁶ იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის მეორე ნაწილი. „ყადაღის ჩსრკის ან/და ამოღების ოქმში უნდა მიეთითოს: რა ადგილას და რა ვითარებაში აღმოჩენილი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი; ის ნებაყოფლობითაა გადაცემული თუ იძულებითაა ჩამორთმეული. ყველა ობიექტი ოქმში უნდა აღიწეროს რაოდენობის, წონის, ღირებულების (თუ ეს შესაძლებელია), ინდივიდუალური და გვარეობითი ნიშან-თვისებების მითითებით. თუ ამოღების ან ჩსრკის ჩატარებისას სცადეს, გაენადგურებინათ ან გადაემალათ მოსამეზნი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან

ამასთან, საპროცესო კოდექსი იცნობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ერთდროულად ორი საგამომიებო მოქმედება ტარდება და ამის თაობაზე ერთი ოქმი დგება. მაგალითად, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ინფორმაციის შემცველი ობიექტის ამოღების დროს ცალკე ოქმი არ დგება და ეს საგამომიებო მოქმედება (ამოღება) აღიწერება დათვალიერების ოქმში.⁷⁷ ამის მსგავსად, საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს, რომ ამოუცნობი გვამის დათვალიერებისას სავალდებულოა სხვა საგამომიებო მოქმედების ჩატარებაც, კერძოდ, გვამის დაქტილოსკოპირება და ნიმუშის აღება.⁷⁸ ამდენად, შეუძლებელია გავეცეთ იმ ფაქტს, რომ საპროცესო კოდექსის XV და XVII თავებს შორის შინაარსობრივი კავშირი არსებობს.

საფუძველს მოკლებული იქნება იმის მტკიცებაც, რომ საგამომიებო მოქმედების სახეს მხოლოდ ის ღონისძიება წარმოადგენს, რომლებიც საპროცესო კოდექსის მხოლოდ XV თავით არის განსაზღვრული. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა, თუ ის მტკიცებულების მოპოვების მიზნით არის ჩატარებული, გამოძიების განუყოფელი ნაწილია.⁷⁹

ნორმის შეფასებისას სასამართლომ უნდა გამოიყენოს განმარტების ის მეთოდი, რომელიც ყველაზე ნათლად და ობიექტურად ხსნის ნორმის არსს, მისი მოქმედების ფარგლებს, კანონმდებლის მიზანსა და კანონის ნებას.⁸⁰ მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლის მიერ ნიმუშის აღება სახელდობრ საგამომიებო მოქმედებების თავში არ იქნა შეტანილი, ზემოაღნიშნული არგუმენტების მხედველობაში მიღებით, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ იგი საგამომიებო მოქმედების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს.⁸¹

ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, ან/და თუ გასაზრდება ან სხვა პირმა წინააღმდეგობა გასწია, ეს უნდა აღინიშნოს ოქმში. ...”

⁷⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლის მეოთხე ნაწილი.

⁷⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე მუხლის მეორე ნაწილი.

⁷⁹ იხ. ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანებია: ... ვ) სისხლის სამართლის საქმეზე აუცილებელი ფაქტობრივი მონაცემების მოპოვება.“ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას საგამომიებო მოქმედებების გარდა სხვა დანიშნულებაც აქვს. იგი შესაძლოა გამოყენებული იქნეს დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენისა ან თავიდან აცილების მიზნით, უგზო-უკვლოდ დავარგული პირის ძებნის ან პენიტენციურ დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფის მიზნით.

⁸⁰ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელოგუა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-18;

⁸¹ იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული არგუმენტაციის მიუხედავად, სასამართლო ჩათვლის, რომ ნიმუშის აღება საგამომიებო მოქმედება არ არის, მიგვაჩნია, რომ გამოყენებული უნდა იქნეს კანონის ანალოგია და ნიმუშის აღებაზე საგამომიებო მოქმედების ჩატარების წესები გავრცელდეს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მეორე მუხლის მეცამე ნაწილის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობაში სარვეზის არსებობისას დასაშვებია სისხლის სამართლის საპროცესო ნორმის ანალოგიით გამოყენება, თუ ამით არ იზღუდება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. მოცემულ საქმეზე, ანალოგიის გამოყენებით არა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვა, არამედ შრალდებულის კანონიერი ინტერესების დაცვა მოხდება.



6.2. თვითინკრინაციისგან დაცვის პრივილეგია

მიგვაჩნია, რომ ბრალდებულის უარი საგამოძიებო მოქმედებაში (ნიმუშის აღება) მონაწილეობაზე, ასევე მისი ჩატარებისათვის პასიური ხელშეშლა არ უნდა იწვევდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. საყოველთაოდ აღიარებული პრინციპის თანახმად, ბრალდებულო აღჭურვილია თვითინკრინაციისგან დაცვის პრივილეგიით.⁴²

თვითინკრინაციისგან დაცვის პრივილეგია არა მარტო ჩვენების მიცემაზე უარის თქმას ითვალისწინებს, არამედ ბრალდებულს უფლება აქვს უარი თქვას სხვა საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობის მიღებაზეც. საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში ტიტკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ განმარტა:

თვითინკრინაციისგან დაცვის პრივილეგია წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების ფუნდამენტურ კომპონენტს [...] ხსენებული უფლება მჭიდრო კავშირშია არა მარტო სამართლიანი სასამართლოს უფლების სხვა კომპონენტებთან, როგორცაა უდანაშაულობის პრეზუმფცია და დაცვის უფლება, არამედ რიგ ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპებთან. თვითინკრინაციის იძულებისაგან დაცვა წარმოადგენს ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უმთავრესი პრინციპის გამოძახილს, რომლის თანახმადაც, დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანი არ შეიძლება აღქმული იყოს როგორც ობიექტი, მიზნის მიღწევის საშუალება, არამედ იგი თავად უნდა იყოს ის მიზანი, ორიენტირი, რომელსაც ეფუძნება სახელმწიფოს პოლიტიკა ნებისმიერი მიმართულებით.⁴³

მიგვაჩნია, რომ ნიმუშის აღების თაობაზე სასამართლოს ნებართვის გაცემის მიზანი არა ბრალდებულის ნების მოსალოდნელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობით დათრგუნვა, არამედ საგამოძიებო ორგანოს კონტროლია, რათა გაუმართლებელი ჩარევა არ მოხდეს ბრალდებულის ღირსების, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და პირადი ცხოვრების უფლებებში.

⁴² იხ. *O'Halloran and Francis v. the United Kingdom [GC]*, nos. 15809/02 and 25624/02, 2007-III [ECHR]; *Miranda v. Arizona*, 384 U.S. 436 (1966), <https://supreme.justia.com/cases/federal/us/384/436/> [წვდომის თარიღი: 24.12.2019];
სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მეხამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი;
საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მეთერთმეტე პუნქტი;
საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მეჭვიდმეტე ნაწილი.
⁴³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის #1/4/809 გადაწყვეტილება საქმეზე ტიტკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-41;
ასევე, *Saunders v. the United Kingdom*, 17 December 1996. Reports of Judgments and Decisions 1996-VI [ECHR] §68.

სასამართლო ამოწმებს თუ რამდენად არსებობს ნიშნის აღების საფუძველი და საგამომიებო ორგანოს აძლევს ნებართვას ბრალდებულისაგან ნიშნის აღების თაობაზე.⁸⁴ შესაბამისად, დანაშაულის სუბიექტი სპეციალურია და იგი შესაძლოა მხოლოდ ის პირი იყოს, რომელსაც საგამომიებო მოქმედების ჩატარება ევალება. იმ შემთხვევაში თუ ნიშნის აღების ხელშეშლა ძალადობით ან ძალადობის მუქარით მოხდება, შესაძლებელია დაისვას სსკ-ის 365-ე მუხლის (მუქარა ან ძალადობა სამართალწარმოების განხორციელებასთან, გამოძიებასთან ან დაცვის განხორციელებასთან დაკავშირებით) შეფარდების საკითხი.

ნიშნის აღებაზე უარის თქმის გამო ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დაშვება სამართლებრივ აბსურდამდე მიგვიყვანს. ამის საილუსტრაციოდ, საინტერესოა შემდეგი ჰიპოთეტური მაგალითების განხილვა:

ა) პირადი ჩხრეკის ჩატარების თაობაზე სასამართლოს განჩინების გაცნობისთანავე, პირი გაიქცა ან პირადი ჩხრეკის ჩატარებას სხვაგვარად აარიდა თავი (გამოყენებული არ ყოფილა ძალადობა ან ძალადობის მუქარა);

ბ) ბრალდებულს ადვეთის ღონისძიების სახედ შეეფარდა გირაო, ხოლო დამატებითი ღონისძიების სახედ განესაზღვრა საგამომიებო ორგანოში ყოველკვირეული გამოცხადება. მან დათქმულ ვადაში არც გირაოს თანხა შეიტანა და გამოცხადების ვალდებულებაც უგულვებელყო.

ფორმალურად, ბრალდების მხარის ლოგიკით, პირველი შემთხვევა სასამართლო გადაწყვეტილების შესრულებისათვის ხელის შეშლად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო მეორე - სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობად. თუმცა, რა თქმა უნდა, არც ერთი შემთხვევა სსკ-ის 381-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს არ შეიცავს.

სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობა სასამართლო ხელისუფლების (მართლმსაჯულების ინტერესების) წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია. სასამართლო გადაწყვეტილების უგულვებელყოფის კრიმინალიზაცია თვითნებობისა და უკანონობის აღმოფხვრას, ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებასა და სამართლიანობის აღდგენას ემსახურება.

კითხვაზე - საგამომიებო მოქმედებაში მონაწილეობის მიღებაზე ბრალდებულის უარი ეწინააღმდეგება თუ არა მართლმსაჯულების ინტერესებს, უარყოფითი პასუხი უნდა იქნეს გაცემული. საპროცესო კოდექსი იმეორებს რა თვითინკრიმინაციის იძულებისაგან დაცვის პრივილეგიის სულისკვეთებას, ადგენს, რომ (ა) ბრალდებულს უფლება აქვს მონაწილეობა არ

⁸⁴ მაგ., 2019 წლის 21 ნოემბრის განჩინება საპროცესო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის გაცემის თაობაზე: „საქართველოს შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამომიებო სამმართველოს თანამშრომლებს მიეცეთ ნებართვა [...] აიღონ ნერწყვისა და ხელის კვლევის ნიშნულები.“



მიიღოს საგამომიებო მოქმედებაში⁸⁵ და (ბ) „პირის [მათ შორის ბრალდებულის] კანონიერ ინტერესს პრიორიტეტი აქვს დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის დასჯის საჯარო ინტერესთან შედარებით. პირის [ბრალდებულის] კანონიერი ინტერესების დაცვა სისხლის სამართლის პროცესში საზოგადოების ინტერესებს ემსახურება.“⁸⁶

აღნიშნული მსჯელობა, შინაარსობრივ თანხვედრაშია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ საგამომიებო მოქმედების ჩატარების წესთან. მაგალითად, ჩხრეკის ჩატარებისას პირი არ არის ვალდებული საგამომიებო მოქმედებაში ნებაყოფლობით მიიღოს მონაწილეობა და გამომძიებელს თავისი ინიციატივით წარუდგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები. დაუშვებელია, ბრალდებულის მიერ მისი უფლებების გამოყენება ან გამოუყენებლობა შეფასდეს უარყოფითად და მისი ბრალეულობის დამადასტურებელ გარემოებად.⁸⁷

ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ საქმეში *United States v. Hubbell* განმარტა, რომ თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია არა მარტო ჩვენების მიცემაზე უარის თქმას გულისხმობს, არამედ ისეთი ინფორმაციის ნებაყოფლობით გაცემასაც, რომელიც პირის საწინააღმდეგო მტკიცებულებად შეიძლება იქნეს გამოყენებული.⁸⁸ ევროპულმა სასამართლომ არაერთი საქმის განხილვისას დაადგინა, რომ პასუხისმგებლობის დაკისრების მუქარით ან სანქციის დაკისრებით ბრალდებულის დავალდებულება უარი თქვას თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიაზე, წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს უფლების უხემ დარღვევას.⁸⁹

ბრალდებულის პოზიცია, მონაწილეობა არ მიიღოს საგამომიებო მოქმედებაში არ უნდა იქნეს აღქმული იმგვარად, რომ საგამომიებო ორგანოს ქმედითი ღონისძიების განხორციელების შესაძლებლობა მოსპობილი აქვს. საქმეში *Saunders v. the United Kingdom*, ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლო ნებართვის არსებობის შემთხვევაში, სისხლის, შარდისა თუ სხეულის ქსოვილის იძულებით აღება არ ექვევა თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიაში.⁹⁰ ამის მსგავსად, საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს, რომ საგამომიებო მოქმედების ჩატარებელ პირს უფლება აქვს წინააღმდეგობის შემთხვევაში გამოიყენოს

⁸⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მეჩვიდმეტე ნაწილი.

⁸⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-12 მუხლის მეოთხე ნაწილი.

⁸⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მეთვრამეტე ნაწილი.

⁸⁸ *United States v. Hubbell*, 530 U.S. 27 (2000), <https://www.vez.org/cases/1999/99-166> [წედომის თარიღი: 24.12.2019].

⁸⁹ *Brusco v. France*, no. 1466/07, 14 October 2010 [ECHR];

Heaney and McGuinness v. Ireland, no. 34720/97, 2000-XII [ECHR].

⁹⁰ *Saunders v. the United Kingdom*, 17 December 1996, Reports of Judgments and Decisions 1996-VI [ECHR] §69.



იძულების პროპორციული ზომა.⁹¹ იძულების პროპორციულობა საქმის გარემოებებზე დაყრდნობით, პროპორციულობის ტესტზე დაყრდნობით უნდა შეფასდეს.⁹²

მნიშვნელოვანია, რომ ნიმუშის აღებისას გამოყენებულმა სამედიცინო ჩარევამ არ შექმნას არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის საფრთხე.⁹³ *A priori* იმის მტკიცება, რომ ბრალდებული ნიმუშის აღებისას არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარება, არასწორია. საქმეში *Jalloh v. Germany* წინააღმდეგ, სასამართლომ განმარტა, რომ არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, რომ სამედიცინო ინტერვენციის აუცილებლობა სათანადოდ იყოს დასაბუთებული, არ უნდა არსებობდეს ნაკლებად შემზღუდავი ალტერნატივა და სამედიცინო ჩარევამ არ უნდა შექმნას ბრალდებულის ჯანმრთელობის გაუარესების საფრთხე.⁹⁴ ამასთან, ნიმუშის აღებისას განცდილი ტკივილი არ უნდა გასცდეს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს (*minimum level of severity*).⁹⁵ მისი შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ნიმუშის აღების გარემოებები, მათ შორის მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და ფსიქიკური შედეგი, მსხვერპლის სქესი, ასაკი და ჯანმრთელობის მდგომარეობა.⁹⁶ ნაკლებსავარაუდოა, იძულებით თმის ღერის ამოძრობამ ან ფიზიკური ძალის გამოყენებით ნერწყვის ნიმუშის აღებამ ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა გამოიწვიოს.⁹⁷

ამდენად, მიგვაჩნია, რომ გიორგი რურუას უფლება ჰქონდა ნიმუშის აღებაზე უარი განეცხადებინა. სარგებლობდა რა თვითინკრიმინაციის იძულებისაგან დაცვის პრივილეგიით, გიორგი რურუას სსკ-ის 381-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული არ ჩაუდენია. გამოძიებელი უფლებამოსილი იყო იძულების პროპორციული ზომების გამოყენებით გიორგი რურუასაგან აეღო განჩინებაში მითითებული ნიმუში, რითაც საგამოძიებო მოქმედების ჩატარება აღარ შეფერხდებოდა.

ამასთან, გიორგი რურუას მიმართ წარმოებულ სისხლისსამართლებრივ დევნას აქვს მსუსხავი ეფექტი, რამაც შესაძლოა სხვა ბრალდებულების უფლებრივი მდგომარეობაც გაუარესოს. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების შიშით, ბრალდებულებმა შესაძლოა უარი თქვან თვითინკრიმინაციისაგან დაცვის კანონით გარანტირებული პრივილეგიით სარგებლობაზე და ისეთ საგამოძიებო მოქმედებაში მიიღონ მონაწილეობა, რომელიც მათ სურვილს ეწინააღმდეგება.

⁹¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის მეშვიდე ნაწილი.

⁹² Barak, A., *Proportionality: Constitutional Rights and Their Limitations* (Cambridge University Press 2012).

⁹³ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 მუხლი.

⁹⁴ *Jalloh v. Germany [GC]*, no. 54810/00, 11 July 2006 [ECHR] §70-74.

⁹⁵ იქვე, §72.

⁹⁶ *Bouyid v. Belgium [GC]*, no. 23380/09, 28 September 2015 [ECHR] §86.

⁹⁷ *McCartney C., Forensic Identification and Criminal Justice* (2006) at 19.

VII. დასკვნა

საგამოძიებო მოქმედებების ანალიზი იძლევა დადგენილების (გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში გიორგი რურუას პირადი ჩხრეკის წარმოების შესახებ), გიორგი რურუას პირადი ჩხრეკისა და გიორგი რურუას კუთვნილი ავტომატის ჩხრეკისას ამოღებული მაცუჭის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობის საფუძველს.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ნიშნების არარსებობის გამო გიორგი რურუას მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს.

(1) სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის (ავთენტურობის) თვალსაზრისით.⁹⁸ საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს დასაშვები მტკიცებულების ცნებას. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „მტკიცებულებათა დაუშვებლობა ე.წ. ნეგატიური ენუმერაციის პრინციპით არის გადაწყვეტილი და მტკიცებულება დასაშვებად მიიჩნევა, თუ მისი დაუშვებლად ცნობის საფუძველი არ არსებობს.“⁹⁹

მტკიცებულება დაუშვებელია თუ იგი მოპოვებულია კანონის არსებითი დარღვევით.¹⁰⁰ კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების გამოყენების დაუშვებლობა მიზნად ისახავს პროცესის მონაწილეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის ღირსების დაცვას, სამართლიან სასამართლოზე ბრალდებულის უფლების რეალიზაციას, ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას, სასამართლოს მიმართ მოსახლეობის ნდობის ამაღლებასა და სისხლისსამართლებრივი დევნის მწარმოებელი ორგანოების თვითნებობის პრევენციას.¹⁰¹

მიგვაჩნია, რომ გიორგი რურუას პირადი ჩხრეკის ოქმის საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევით შედგენა აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას და ექვევებ აყენებს ნივთიერი მტკიცებულებების ავთენტურობასა (ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის ნაწილში) და რელევანტურობას (პირადი ჩხრეკის ოქმში მითითებული სხვა ობიექტების ნაწილში).¹⁰² შესაბამისად, არსებობს დადგენილების, გიორგი რურუას პირადი ჩხრეკისა და პირადი ჩხრეკის ოქმში მითითებული ნივთმტკიცებების დაუშვებლად

⁹⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილი.

⁹⁹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის #2/2/579 გადაწყვეტილება საქმეზე *მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II-13.

¹⁰⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის პირველი ნაწილი.

¹⁰¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის #2/2/579 გადაწყვეტილება საქმეზე *მაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II-4 და 6.

¹⁰² ვრცლად იხ. სასამართლოს შეგობრის მოსაზრების 3.2-3.4 ქვეთავში განვითარებული მსჯელობა.

ცნობის კანონისმიერი საფუძველი. გარდა ამისა, ე.წ. მოწამლული ხის ნაყოფის პრინციპიდან გამომდინარე,¹⁰⁵ კანონიერად მოპოვებული ყველა იმ მტკიცებულების დაუშვებლად ცნობა უნდა მოხდეს, რომელიც ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას აუარესებს (მაგ., ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა).¹⁰⁴

(2) დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა იქნეს ცნობილი ავტომანქანის ჩხრეკისას ამოღებული მაცუჩი. საქართველო კოდექსის თანახმად, „მტკიცებულება ასევე დაუშვებელია, თუ იგი მოპოვებულია ამ კოდექსით [სისხლის სამართლის საქართველო კოდექსით] დადგენილი წესის დაცვით, მაგრამ უარყოფილი არ არის გონივრული ეჭვი მისი შესაძლო გამოცვლის, მისი ნიშან-თვისებების არსებითი შეცვლის ან მასზე დარჩენილი კვალის არსებითი გაქრობის შესახებ.“¹⁰⁵ საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ეს წესი ავთენტურობის შესახებ წარმომოხილ ეჭვს უკავშირდება¹⁰⁶ და მისი დაუშვებლობის საფუძველი მტკიცებულების შესაძლო გაყალბების შესახებ გონივრული ეჭვის არსებობაც შეიძლება გახდეს.¹⁰⁷ არასანდო და საეჭვო ინფორმაციის დასაშვებ მტკიცებულებად ცნობა უდანაშაულო პირის მსჯავრდების რისკს შეიცავს და კანონის უზენაესობის პატივისცემისა და სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპებს უპირისპირდება.¹⁰⁸

საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დრო და ადგილი, შმაგი ასანიძისა და გიორგი გეთიაშვილის მიერ გამოკითხვისას დაფიქსირებული ინფორმაცია, ის ფაქტი, რომ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს ჩხრეკის ჩატარებამდე ავტომანქანასთან შემხებლობა ჰქონდათ, არ გამორიცხავს გონივრულ ეჭვს, რომ ცეცხლსასროლი იარაღის მაცუჩი გიორგი რურუას ავტომანქანაში პოლიციელთა უკანონო ქმედების შემდეგ აღმოჩნდა. ბრალდების მხარეს არ ჩაუტარებია საგამოძიებო მოქმედება, რომელიც იქნებოდა საკმარისად დამაჯერებელი და სამართლიანად წარმომოხილ ეჭვებს გააქარწყლებდა.

(3) გარდა ამისა, ნიმუშის აღებაზე უარის თქმის გამო დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა გიორგი რურუას სამართალწარმოების თბიქტად აქცევს და უზღუდებელყოფს თვითინკრიმინაციის იძულებისაგან დაცვის პრივილეგიასა და სამართლიანი სასამართლოს უფლებით განმტკიცებულ სხვა საქართველო გარანტიებს.

წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე და საქმის არსებითად განსახილველად გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლე ალბათობის

¹⁰⁴ *Gäfgen v. Germany (GC)*, no. 22978/05, 1 June 2010 [ECHR] § 73.

¹⁰⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საქართველო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილი.

¹⁰⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საქართველო კოდექსის 72-ე მუხლის მეორე ნაწილი.

¹⁰⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 31 ივლისის #2/2/579 გადაწყვეტილება საქმეზე *შაია რობაქიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II-37.

¹⁰⁸ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის #1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე *ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*, II-7 და 25.

¹⁰⁹ იქვე, II-5 და 24.


მაღალი ხარისხის სტანდარტით ხელმძღვანელობს.¹⁰⁹ ურთიერთშეთავსებადმა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობამ უნდა შექმნას ვარაუდის მაღალი ხარისხი, რომ საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი იქნება გამოტანილი. ამის საწინააღმდეგოდ, არ არსებობს სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობისა ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლის დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, რის გამოც გიორგი რურუას მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს.

ამდენად, სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში განვითარებული არგუმენტაციის მხედველობაში მიღება კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებასა და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას შეუწყობს ხელს. მტკიცებულებათა მოპოვების კანონიერების სათანადო შემოწმება, უდანაშაულო პირის მსჯავრდების საფრთხის თავიდან აცილება და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მიერ განხორციელებული შესაძლო დანაშაულის სათანადოდ გამოძიება, სწორედ მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარეობს.

პატივისცემით,

ივანე ჩიტაშვილი

ააიპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ იურისტი



¹⁰⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მეთორმეტე ნაწილი.

